N 4878/09 07/04/2022

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი იაკობაშვილს

ამავე სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების სამართველოს

უფროსის თორნიკე ბანცაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 28 თებერვალსა და 31 მარტს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოდან შემოვიდა შეტყობინება (თან ერთვის) იმის თაობაზე, რომ ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე მიგრაციის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ზემოაღნიშნულ რეგიონებში არსებული ბიოუსაფრთხოების პუნქტების შეკეთება და რიგი აღდგენითი სამუშაოები.

ამასთან, მოკვლეული იქნენ სარემონტო სამუშაოთა შემსრულებელი, ადგილობრივი პირები. ვინაიდან ბიოუსაფრთხოების პუნქტები განთავსებულია დასახლებული პუნქტებისაგან მნიშვნელოვნად დაცილებულ ლოკაციებზე და დიდი მანძილითაა დაცილებული კომუნიკაციებს, გართულებულია ამ ადგილებზე სარეომონტო სამუშაოების წარმოება. აღნიშნულის მიზეზით, ასევე კონკრეტულ ბიოუსაფრთოხების პუნქტებზე შესასრულებელი სარემონტო სამუშაოების შედარებით დაბალი ღირებულების გამო, სამუშაოთა პოტენციური მიმწოდებლები, არ ავლენენ ინტერესს ამ კონკრეტულ შესყიდვაში მონაწილეობისადმი. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, უკვე წლებია მის საკუთრებაში არსებული ბიოუსაფრთხოების პუნქტების სარემონტო სამუშაოების შესყიდვას ახორციელებს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვინაიდან ელექტრონული ტენდერის საშუალებით აღნიშნული სამუშაოების შესყიდვა მნიშვნელოვნად გაზრდის შესყიდვის ღირებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ბიოუსაფრთხოების პუნქტის გამართული მუშაობა აუცილებელია ქვეყანაში მდგრადი ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შესანარჩუნებლად და შესაბამისი სახელმწიფო ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საჭირო სარემონტო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3^1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის № 27 ბრძანებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხონათა შესაბამისად.

გთხოვთ შეითანხმოთ გასატარებელი სამუშოები.

თორნიკე ბანცაძე

სამმართველოს უფროსი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველო
REGIONAL DIVISION OF KVEMO KARTLI

N 4274/09-12
31/03/2022

4274-09-12-3-202203311257

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მაისის თვიდან იწყება შინაურ ცხოველთა მიგრაცია ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე. გადაადგილების პერიოდში ვეტერინარული ზედამხედველობის (ბიოუსაფრთხოების) პუნქტებზე ხდება ცხოველთა დამუშავება გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგოდ.

1). **ქ. რუსთავში** არსებულ ბიოუსაფრთხოების პუნქტი საჭიროებს შემდეგ აღდგენით სამუშაოებს:

1. ტერიტორიის გაწმენდა/დასუფთავება;
2. ტერიტორიაზე არსებული ღობეების, ასევე წრპ-ს შესარეკი რგოლების და მასში მოძრავი კინის კონსტრუქციების შედუღება/აღდგენა (დაზიანებული ადგილები);
3. პრეპარატის დანახარჯის შემცირების მიზნით ორივე გასაბანებელი ავზის შემდგომ მოეწყოს დაახლოებით 20-25 კვადრატული ფართის ცხოველთა დასაწური ადგილი (რკინის შემოკავაბული ფართი);
4. წრპ-ს გასაბანებელი ავზიდან ცენტრალურ რეზერუარში გასაშვები მილები (ორივე მხარე) შესაბამისი ონკანები ჩანაცვლდეს უფრო დიდი გამტარუნარიანი (დაახლოებით 150-200 ანი დიამეტრის მილი და შესაბამისი გამშვები ონკანით) მილებითა და ონკანებით;

ქ.რუსთავი მარისარხის 1 დას N150
Rustavi, Marisarkhi 1, Settlement 150
ტელ/Tel :(995 95) 19 48 00

5. გასაბანებელ რეზერუარებში წყლის შემშვები ორივე ონკანის შეცვლა;
6. პერინეტრის უზრუნველყოფა დასაკეტი საშუალებით (ბოქლომი 4 ცალი);
7. წყლის მოსამარაგებელი ავზიდან სპეციალისტების სამუსაო ადგილის ჩათვლით (ჯიხური) კაპიტალური შეღობვა.

2). ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებულ ბიოუსაფრთხოების პუნქტი საჭიროებს შემდეგ აღდგენით სამუშაოებს:;

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გასაბანის შესასხურებელი დუშები.
2. საპირფარეშოს ხელსაბანის ორი ონკანი.
3. საპირფარეშოს კარების საკეტი .
4. პერსონალის ოთახის კარების საკეტი.
5. სათავსოს ოთახის კარების საკეტი.
6. გასაბანი მოედნის და დაყოვნების მოედნის განათების ნათურები.
7. წყლის საქაჩის ძრავი.

3). მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებულ ბიოუსაფრთხოების პუნქტი საჭიროებს შემდეგ აღდგენით სამუშაოებს:

1. საწყლულებლების შეკეთება;
2. კარებების აღდგენა;
3. ღობის შეკეთება;
4. გასაბანი სისტემის შეკეთება;
5. წყალგაყვანილობის სისტემის შეკეთება;
6. ტუმბოს შეკეთება;
7. ტერიტორიის დასუფთავება;

ბიოუსაფრთხოების პუნქტების სრულყოფილი და გამართული ფუნქციონირებისათვის გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამმართველოს განახორციელოს სარემონტო სამუშაოების მომსახურების შესყიდვა.

მირანგულა ლიპარტელიანი

სამმართველოს უფროსი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

კახეთის რეგიონული სამმართველო
KAKHETI REGIONAL DIVISION

N 2506/09-7
28/02/2022

2506-09-7-3-202202281747

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

კახეთის რეგიონული სამმართველოს

უფროსის კობა ჩიკვაიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ბიოუსაფრთხოების პუნქტის სრულყოფილად ასამუშავებლად, გვესაჭიროება დაბინძურებული წყლის შემკრეფი ავზის (სეპტიკის) მექანიკური დასუფთავება. ასევე შესაკეთებელია ამავე ავზში ჩამავალი არხი. გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს უზრუნველყოს აღნიშნული სამუშაოების შესრულება.

პატივისცემით,

კობა ჩიკვაიძე

სამმართველოს უფროსი

ქ. თელავი, ალაზნის გამზირი
Alazani ave., Telavi; georgia
ტელ/Tel :(995 98) 01 11 01

გადაწერა სქემის გარეშე

სქემების მართვა

« რეესტრში დაბრუნება »

შიდა დოკუმენტი 4878/09

ვადა: 21.04.2022 17:04

კატეგორია: მოხსენებითი ბარათი

გამომგზავნები:

ბანცაძე თორნიკე (სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო);

მიმღები:

იაკობაშვილი გიორგი (ხელმძღვანელობა);

აწოტაცია:

დასაბუთებული გადაწყვეტილება

შენიშვნა:

ელ.დოკუმენტები

PDF **დასაბუთება.pdf**

PDF დედოფლისწყარო ბიოუსაფრთხოება შეკეთება.pdf

PDF ბიო პუნქტებისშეკეთება ქვემო ქართლი.pdf

დაკავშირებული დოკ–ები

დოკუმენტის მომზადების პროცესი

შემსრულებლები (1)

ვიზები (3)

ხელმოწერები (1)

მოძრაობა

ყველა რგოლის ჩაკეცვა

ადრესატი	რეზოლუცია
იაკობაშვილი გიორგი - სააგენტოს უფროსი - მ.შ. (07.04.2022 17:20) *თარიღი: 07.04.2022 17:05* *ვადა: 21.04.2022 17:04*	
ჯავახაძე თამარ - დეპარტამენტის უფროსი (07.04.2022 19:01)	თანახმა ვარ